შეთანხმების ფურცელი

პროექტი შეთანხმებულია ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის, საფინანსო-საბიუჯეტო, მუნიციპალიტეტის საკუთრების, ადმინისტრირების, არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის

სამსახურებთან.

სამსახურის უფროსები:

ადმინისტრაციული სამსახურის

იურიდიული განყოფილების უფროსი: ბ. შენგელია

პროექტის ავტორი: ზაზა სიხარულიძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს
მუნიციპალიტეტის მერის ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისთვის გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“.

დადგენილების პროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25-ე მუხლის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებისა და სხვა მოქმედი ნორმატიული აქტების მიხედვით, განსაზღვრავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისთვის მკაცრი აღრიცხვის ფორმის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების სამართლებრივ მექანიზმებს. დადგენილების პროექტით უნდა დამტკიცდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდაღღვევის ოქმის ფორმა.

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ - საქართველოს კანონის თანახმად, მკაცრი აღრიცხვის ფორმების წარმოების ორგანიზებას ახორციელებენ სამართალსუბიექტები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიმუშავებენ კონკრეტულ ფორმას და ვალდებული არიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციაში გაატარონ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული მკაცრი აღრიცხვის ფორმის ნიმუშები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის მიხედვით მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია, როგორც სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო, სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას მოქმედებს საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ შესაბამისად და უფლებამოსილია დადგენილი წესის შესაბამისად შეადგინოს შესაბამისი აქტები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრულია სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოებაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული და გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირი და მტკიცდება სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმები, კერძოდ, მითითების აქტი, შემოწმების აქტი და უწყება.

ასევე, დადგენილების მიღების საფუძველი გახდა საქართველოს ორგანული კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განხორციელებული ცვლილებები და მასთან შესაბამისობაშია მოსაყვანი მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტები.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის გარემოს დაცვისა და მშენებლობის სანებართვო პირობების მონიტორინგის განყოფილების უფროსის ზაზა სიხარულიძე.

მუნიციპალიტეტის მერი: ირაკლი კუჭავა

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისთვის გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106^{1} მუხლის თანახმად

საკრებულო ადგენს:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისთვის გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისთვის გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106^{2} მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით, 1 თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: ზაზა სიხარულიძემ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისთვის გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25-ე მუხლის, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი დანართი N1 შესაბამისად.

მუხლი 2.

დამტკიცდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის ფორმა დანართი N2 შესაბამისად.

მუხლი 3.

განისაზღვროს საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხლით სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოებაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული და გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირი დანართი N3 შესაბამისად.

მუხლი 4.

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი” 25-ე მუხლის მე-2, მე-5 და მე-13 ნაწილების შესაბამისად, დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას მითითების, შემოწმების აქტისა და უწყების ფორმები N4,N5,N6 დანართების შესაბამისად.

მუხლი 5.

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის” 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ შემოწმების აქტის ფორმა დანართი N7 შესაბამისად.

მუხლი 6.

ამ დადგენილების კანონით დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის №38 დადგენილება.

მუხლი 7.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტი მოამზადა: ზაზა სიხარულიძემ

დასკვნა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისთვის გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“- დადგენილების პროექტის თაობაზე

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია:

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის მერი შეიმუშავებს და საკრებულოს მისაღებად წარუდგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს.

2. „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტთან, ამავე კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტთან, რომელთა თანახმადაც მკაცრი აღრიცხვის ფორმების წარმოების ორგანიზებას ახორციელებენ სამართალსუბიექტები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიმუშავებენ კონკრეტულ ფორმას და ადგენენ მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესს.

3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდაღღვევათა კოდექსის 209[3], 239-ე და 240 მუხლებთან, რომლითაც განსაზღვრულია თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მუხლების ჩამონათვალი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსი.

4. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტთან, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება.

5. საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხლთან, რომლითაც განსაზღვრულია სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოების წესები.

6. აღნიშნული დადგენილების პროექტის მიღება იწვევს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის №38 დადგენილების ძალდაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს თუ, მიღებულია (გამოცემულია) ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს.

ადმინისტრაციული სამსახურის
იურიდიული განყოფილების უფროსის: *ბექა შენგელია*